ოქმი:ო63. 6326301001
თარიღი:28/10/2026

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N14

15 ოქტომბერი.2026 წელი.

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯონი თევზაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, პაატა კოხრეიძე, ტარიელ დვალიშვილი, მაია ტალაბაძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ცომაია, ქიშვარდი ღაღანიძე, მერაბ თევზაძე.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მთისძირში მდებარე მინი საფეხბურთო მოედნისათვის სევერიანე თევზაძის სახელის მინიჭების შესახებ.
/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ კორმაღალში 1-ელი ქუჩის სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის თემის სოფელ კვირიკეში N2 ქუჩისათვის ირაკლი ჯოჯუას სახელის მინიჭების საკითხი.
/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

4. ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქუჩის ნაწილისათვის თენგიზ მინაშვილის სახელის მინიჭება.
/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

5. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (9 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (9 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N 62-6226265103 წერილობითი მომართვა,რომელიც ეხებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მთისძირში მდებარე მინი საფეხბურთო მოედნისთვის სევერიანე თევზაძის სახელის მინიჭებას.

ჯონი თევზაძე _ მოგახსენებთ, რომ გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთან შემოვიდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მთისძირის მე-7 და მე-8 ქუჩების მცხოვრებთა განცხადება, რომლითაც ითხოვენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მთისძირში 2025 წელს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ს/კ 34.12.46.414 ნაკვეთზე მოწყობილ მინი საფეხბურთო მოედანს მიენიჭოს 1991 წელს სამაჩაბლოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის დროს დაღუპული სევერიანე აბესალოს ძე თევზაძის სახელი.

განცხადების თანახმად, სევერიანე აბესალოს ძე თევზაძე დაიბადა 1962 წლის 28 აგვისტოს, სამტრედიის რაიონის სოფელ მთისძირში. 1979 წელს წარმატებით დაამთავრა გომის საშუალო სკოლა, რის შემდეგაც მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1981 წლიდან მან საქმიანობა გააგრძელა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის განყოფილებაში, სადაც ერთგულად ემსახურებოდა კანონსა და საზოგადოებრივ წესრიგს. 1985 წელს შექმნა ოჯახი — მას დარჩა მეუღლე და სამი შვილი. სევერიანე თევზაძე გმირულად გარდაიცვალა 1991 წლის 11 იანვარს, სამაჩაბლოში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ქუჩის სახელდება.

მოსახლეობის თხოვნაა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მთისძირში მდებარე მინი საფეხბურთო მოედანს მიენიჭოს სევერიანე თევზაძის სახელი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

ჯონი თევზაძე - მივესალმები მოსახლეობის მოთხოვნას და შემდგომი ეტაპი იქნება გომის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მთისძირში გასვლითი კომისიის სხდომა, მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხს მიეცეს მსვლელობა.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N 62-6226265104 წერილობითი მომართვა,რომელიც ეხებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში

შემავალ სოფელ კორმაღლის 1-ელ ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული ლაშა თევზაძის სახელი.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთან შემოვიდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კორმაღლის მცხოვრებთა განცხადება, რომლითაც ითხოვენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კორმაღლის 1-ელ ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული ლაშა თევზაძის სახელი.

გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლისა და გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კორმაღლის მცხოვრებთა განცხადების თანახმად, ლაშა სამსონის ძე თევზაძე დაიბადა 1984 წლის 18 ნოემბერს, სამტრედიის რაიონის სოფელ კორმაღალში. 2001 წელს დაამთავრა ქალაქ სამტრედიის №9 საჯარო სკოლა. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2008 წლის 8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ლაშა თევზაძე იმყოფებოდა ცხინვალში. იგი გახლდათ სპეცდანიშნულების რაზმ „კობრას“ ეკიპაჟის წევრი. საბრძოლო მოქმედებებისას ექვსი ქართველი მებრძოლი, მათ შორის ლაშა თევზაძე, ცხინვალში ალყაში მოექცა და გმირულად დაიღუპა. ლაშა თევზაძეს დარჩა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი. სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის იგი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ქუჩის სახელდება.

მოსახლეობის თხოვნაა, სოფელ კორმაღლის 1-ელ ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული ლაშა თევზაძის სახელი.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

ჯონი თევზაძე - მივესალმები მოსახლეობის მოთხოვნას და შემდგომი ეტაპი იქნება გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კორმაღალში გასვლითი კომისიის სხდომა, მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ნაბაკევის თემის სოფელ კვირიკეს მე-2 ქუჩის მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება.

ჯონი თევზაძე - მოსახლეობის თხოვნაა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის თემის სოფელ კვირიკეში N2 ქუჩის მიენიჭოს ირაკლი ჯოჯუას სახელი. ირაკლი ჯოჯუა დაიბადა 1981 წლის 15 ივლისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის თემის სოფელ კვირიკეში. ის იყო თავისუფალი სტილის მოჭიდავე. საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, საქართველოს ნაკრების წევრი, რომელმაც თავისი სპორტული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა და ღირსეულად წარმოაჩინა საკუთარი სოფელი და მუნიციპალიტეტი. ის სიცოცხლის განმავლობაში გამოირჩეოდა ღირსეული საქციელით,

შრომისმოყვარეობითა და ადამიანებისადმი პატივისცემით. მას სოფელში და თანასოფლელებში ჰქონდა კარგი ავტორიტეტი და განსაკუთრებული პატივისცემა. ირაკლი ჯოჯუა 2002 წელს ტრაგიკულად დაიღუპა. მიგვაჩნია, რომ მისი სახელის უკვდავსაყოფად და მისი ღვაწლის დასაფასებლად მიზანშეწონილია სოფელ კვირიკეში N2 ქუჩას მიენიჭოს ირაკლი ჯოჯუას სახელი. აღნიშნული გადაწყვეტილება იქნება მისი ხსოვნის პატივისცემისა და ახალგაზრდა თაობისთვის მისი ცხოვრების, სპორტული მიღწევებისა და ღირსეული პიროვნული მაგალითის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ფორმა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, კანონით დადგენილი წესით განიხილოთ აღნიშნული საკითხი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. განცხადებას თან ერთვის კვირიკეს N2 ქუჩის მცხოვრებთა ხელმოწერები.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

ჯონი თევზაძე - მივესალმები მოსახლეობის მოთხოვნას. თუმცა არასაკმარისი დოკუმენტაციის გამო მოხდეს საკითხის შეჩერება.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

<u>დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქუჩის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ 2026 წლის 2 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა რიონის ქუჩის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, რომლითაც მოსახლეობა ითხოვს, ქალაქ სამტრედიაში რიონის ქუჩის ნაწილისათვის სახელის შეცვლას და თენგიზ მინაშვილის სახელის მინიჭებას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2026 წლის 3 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრულ_საკითხთა კომისიის მიერ, ჩატარებული იქნა გასვლითი სხდომა. (კომისიის მიერ რიონის ქუჩის მოსახლეობა ინფორმირებული იყო კომისიის სხდომის ჩატარების დროისა და თარიღის შესახებ). გარკვეული მიზეზების გამო, კომისიის სხდომას მოსახლეობის უმრავლესობა ვერ დაესწრო. შესაბამისად, ქუჩის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით, ვერ გადაწყდა მოსახლეობის მოთხოვნის დადებითად დაკმაყოფილება.

დამატებით წარმოდგენილია რიონის ქუჩის მოსახლეობის მოთხოვნა, საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით, რათა განმეორებით განხილულ იქნას ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქუჩის ნაწილის სახელდების საკითხი, რომელსაც ადასტურებენ რიონის ქუჩის მოსახლეობის ხელმოწერებით.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

ჯონი თევზაძე - შემდგომი ეტაპი იქნება რიონის ქუჩაზე გასვლითი კომისიის სხდომა, მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხს მიეცეს მსვლელობა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

